

რეგისტრირებული განქორწინებები

1. საკონტაქტო ინფორმაცია	
1.1. საკონტაქტო ორგანიზაცია	საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი)
1.2. საკონტაქტო ორგანიზაციის ერთეული	მოსახლეობის აღწერისა და დემოგრაფიული სტატისტიკის დეპარტამენტი
1.3. საკონტაქტო პირი	შორენა წიკლაური
1.4. საკონტაქტო პირის ფუნქცია	მოსახლეობის აღწერისა და დემოგრაფიული სტატისტიკის დეპარტამენტის უფროსი
1.5. საკონტაქტო პირის საფოსტო მისამართი	ქ. თბილისი, 0180, ცოტნე დადიანის 30
1.6. საკონტაქტო პირის ელექტრონული ფოსტის მისამართი	shtsiklauri@geostat.ge
1.7. საკონტაქტო პირის ტელეფონი	+995 32 236 72 10 (601)
1.8. საკონტაქტო პირის ფაქსი	-

2. მეტამონაცემების განახლება	
2.1. მეტამონაცემების ბოლო სერტიფიცირება	2022 წ. 30 მარტი
2.2. მეტამონაცემების ბოლო გამოქვეყნება	2022 წ. 30 მარტი
2.3. მეტამონაცემების ბოლო განახლება	2022 წ. 30 მარტი

3. სტატისტიკური მონაცემების წარმოდგენა	
3.1. მონაცემების აღწერა	
განქორწინებათა სტატისტიკა მოიცავს წლის განმავლობაში რეგისტრირებულ განქორწინებათა რაოდენობას და შესაბამის მაჩვენებლებს (კოეფიციენტებს).	
3.2. კლასიფიკაციის სისტემა	
საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების კლასიფიკატორი.	
3.3. სექტორის მოცვა	
წლის განმავლობაში რეგისტრირებული განქორწინებები.	
3.4. სტატისტიკური ცნებები და განსაზღვრებები	
<p>განქორწინება – ქორწინებითი კავშირის შეწყვეტა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში.</p> <p>განქორწინების ზოგადი კოეფიციენტი – გარკვეულ დროში რეგისტრირებულ განქორწინებათა რაოდენობის შეფარდება იმავე პერიოდის მოსახლეობის საშუალო წლიურ რიცხოვნობასთან. ის აჩვენებს განქორწინებათა რაოდენობას მოსახლეობის 1 000 კაცზე.</p> <p>ქორწინების საშუალო ხანგრძლივობა – განქორწინების და ქორწინების წლებს შორის სხვაობების საშუალო არითმეტიკული.</p>	
3.5. სტატისტიკური ერთეული	
რეგისტრირებული განქორწინება.	
3.6. სტატისტიკური პოპულაცია	
საქართველოში რეგისტრირებული განქორწინებები და საზღვარგარეთ საქართველოს წარმომადგენლობებში საქართველოს მოქალაქეების რეგისტრირებული განქორწინებები.	
3.7. საანგარიშო არეალი	
მოიცავს მთელი ქვეყნის მონაცემებს ოკუპირებული ტერიტორიების გარდა. მათ შორის რეგიონების, მუნიციპალიტეტებისა და თვითმმართველი ქალაქების, საქალაქო და სასოფლო დასახლებების მიხედვით საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების კლასიფიკაციის შესაბამისად.	
3.8. დროის მოცვა	
1940 და 1950-1968 – რეგისტრირებულ განქორწინებათა რაოდენობა საქალაქო და სასოფლო დასახლებების მიხედვით;	

<p>1969 წლიდან – რეგისტრირებულ განქორწინებათა რაოდენობა რეგიონების, თვითმმართველი ერთეულების და საქალაქო და სასოფლო დასახლებების მიხედვით;</p> <p>1989 წლიდან – რეგისტრირებულ განქორწინებათა რაოდენობა თვეების მიხედვით;</p> <p>1990 წლიდან – რეგისტრირებულ განქორწინებათა რაოდენობა ქორწინების ხანგრძლივობის მიხედვით;</p> <p>1990 წლიდან – რეგისტრირებულ განქორწინებათა რაოდენობა ასაკისა და სქესის მიხედვით;</p> <p>1994 წლიდან – რეგისტრირებულ განქორწინებათა რაოდენობა სქესის, ქორწინების ხანგრძლივობისა და რიგითობის მიხედვით.</p>
<p>3.9. საბაზო პერიოდი</p> <p>-</p>

<p>4. ზომის ერთეული</p> <p>რაოდენობა, პრომილე (‰).</p>

<p>5. საანგარიშო პერიოდი</p> <p>კალენდარული წელი.</p>
--

<p>6. ინსტიტუციური მანდატი</p>
<p>6.1. სამართლებრივი აქტები და სხვა შეთანხმებები</p> <p>საქართველოს კანონი „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“; https://www.geostat.ge/media/20591/1.saqstatis_kanoni.pdf სტატისტიკურ სამუშაოთა ყოველწლიური პროგრამა; https://www.geostat.ge/ka/modules/categories/307/statistikur-samushaota-programa საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის დებულება. https://www.geostat.ge/media/20600/10%2Csaqstatis-konsolidirebuli-debuleba.pdf</p>
<p>6.2. მონაცემთა გაზიარება</p> <p>-</p>

<p>7. კონფიდენციალურობა</p>
<p>7.1. კონფიდენციალურობა – პოლიტიკა</p> <p>1. საქართველოს კანონი „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“:</p> <ul style="list-style-type: none"> • კანონის მე-4 მუხლის თანახმად, ოფიციალური სტატისტიკის მწარმოებლის მიერ სტატისტიკური მიზნებისათვის შეგროვებული, ფიზიკური და იურიდიული პირების შესახებ მონაცემები მკაცრად კონფიდენციალურია და მხოლოდ სტატისტიკური მიზნებისათვის გამოიყენება. • კანონის 28-ე მუხლის (სტატისტიკურ მონაცემთა კონფიდენციალურობის დაცვა) თანახმად, <ol style="list-style-type: none"> 1. ოფიციალური სტატისტიკის წარმოების მიზნით შეგროვებული მონაცემები კონფიდენციალურია, თუ ისინი იძლევა დაკვირვების ერთეულის იდენტიფიცირების საშუალებას ან თუ მათი მეშვეობით შესაძლებელია ამგვარი მონაცემების დადგენა. 2. დაუშვებელია კონფიდენციალური სტატისტიკური მონაცემების გაცემა და გავრცელება ან მათი არასტატისტიკური მიზნით გამოყენება, გარდა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული გამონაკლისებისა. 3. ოფიციალური სტატისტიკის წარმოებისას სავალდებულოა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესებით საიდენტიფიკაციო მონაცემების, მათ შორის, ასეთი მონაცემების შემცველი სტატისტიკური კვლევის ამსახველი კითხვარების განადგურება ან განცალკევებით შენახვა. • კანონის 29-ე მუხლის თანახმად, საქსტატის ორგანოებში დასაქმებულებს ეკრძალებათ სტატისტიკური კვლევის მიზნით შეგროვებული და დამუშავებული კონფიდენციალური სტატისტიკური მონაცემების გამოყენება და გავრცელება. https://www.geostat.ge/media/20591/1.saqstatis_kanoni.pdf <p>2. „მონაცემების კონფიდენციალურობის პოლიტიკა საქსტატში“ https://www.geostat.ge/media/20607/17.konfidencialurobis-brzaneba.pdf</p> <p>3. „საჯარო სარგებლობის მიკრომონაცემების გავრცელების პოლიტიკა საქსტატში“ https://www.geostat.ge/media/20609/19.microdata-brzaneba.pdf</p> <p>4. საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“. https://matsne.gov.ge/ka/document/view/1561437</p>
<p>7.2. კონფიდენციალურობა – მონაცემებთან მოპყრობა</p> <ul style="list-style-type: none"> • კონფიდენციალურობის დაცვის სახელმძღვანელოები.

- საქსტატი დასაქმებულის მიერ წერილობით აღიარებული ვალდებულებები სამსახურებრივი საქმიანობის შედეგად მიღებული/შეგროვებული მონაცემების კონფიდენციალურობის უზრუნველყოფის შესახებ.

8. გამოქვეყნების პოლიტიკა

8.1. გამოქვეყნების კალენდარი

მონაცემთა გავრცელების თარიღები განსაზღვრულია სტატისტიკურ სამუშაოთა კალენდრით, რომელიც განთავსებულია საქსტატის ვებ-საიტზე და საჯაროდ ხელმისაწვდომია.

8.2. გამოქვეყნების კალენდარზე ხელმისაწვდომობა

<https://www.geostat.ge/ka/calendar>

8.3. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომობა

მონაცემები ხელმისაწვდომია ყველა კატეგორიის მომხმარებლისთვის ერთდროულად.

9. გავრცელების სიხშირე

ნახევარწლიური (წინასწარი) და წლიური მონაცემები ქვეყნდება წელიწადში ერთხელ.

10. ხელმისაწვდომობა და მკაფიოობა

10.1. პრეს-რელიზები

პრეს-რელიზი წარმოადგენს ძირითადი დემოგრაფიული მაჩვენებლების შესახებ ოფიციალურ პუბლიკაციას, რომელიც ქვეყნდება ელექტრონულად წელიწადში ერთხელ ქართულ და ინგლისურ ენებზე:

<https://www.geostat.ge/ka/news?year=&month=&category=9>

10.2. პუბლიკაციები

კრებულები „დემოგრაფიული ვითარება საქართველოში“ და „ბუნებრივი მოძრაობის სტატისტიკა საქართველოში“ ქართულ და ინგლისურ ენებზე, ელექტრონული ვერსია:

<https://www.geostat.ge/ka/single-categories/114/mosakhleoba>

10.3. ონლაინ მონაცემთა ბაზა

მონაცემები განთავსებულია საქსტატის საიტზე PC-Axis-ის მონაცემთა ბაზაში:

<http://pc-axis.geostat.ge/PXWeb/pxweb/ka/Database>

10.4. მიკრომონაცემების ხელმისაწვდომობა

-

10.5. სხვა

-

10.6. დოკუმენტაცია მეთოდოლოგიაზე

მეთოდოლოგიის დოკუმენტაცია განთავსებულია საქსტატის ვებ-საიტზე:

<https://www.geostat.ge/ka/modules/categories/124/methodologia-mosakhleobis-aghtsera-da-demografia>

10.7. დოკუმენტაცია ხარისხის შესახებ

-

11. ხარისხის მართვა

11.1. ხარისხის უზრუნველყოფა

სტატისტიკური პროცესების და პროდუქტების ხარისხის უზრუნველსაყოფად საქსტატი ხელმძღვანელობს ოფიციალური სტატისტიკის შესახებ საქართველოს კანონის მე-4 მუხლით „ოფიციალური სტატისტიკის ძირითადი პრინციპები“, აგრეთვე ევროპის სტატისტიკის პრაქტიკის კოდექსით, გაეროს ოფიციალური სტატისტიკის ფუნდამენტური პრინციპებით და ევროპის სტატისტიკის სისტემის ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩოთი (QAF).

11.2. ხარისხის შეფასება

საქსტატის მეთოდოლოგიის და ხარისხის მართვის სამმართველო დარგობრივ დეპარტამენტებთან ერთად პასუხისმგებელია წარმოებული სტატისტიკური პროდუქტების და პროცესების ხარისხზე. სამმართველო ატარებს სტატისტიკური პროცესების ხარისხის აუდიტს და აფასებს სტატისტიკურ პროდუქტებთან და პროცესებთან დაკავშირებულ რისკებს. საქსტატში შემუშავებულია პოლიტიკის დოკუმენტები, სახელმძღვანელოები და სამუშაო პროცესების აღწერილობები. ეს დოკუმენტები უზრუნველყოფენ სტატისტიკური პროცესების და პროდუქტების სტანდარტიზებას და ხარისხის უზრუნველყოფის ერთიანი სისტემის ჩამოყალიბებას.

12. შესაბამისობა
12.1. მომხმარებელთა მოთხოვნები
ძირითადი მომხმარებელია: სახელმწიფო მმართველობის ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოები, აკადემიური წრეები, სტუდენტები, საერთაშორისო ორგანიზაციები, არასამთავრობო ორგანიზაციები, მედია, მოქალაქეები. ძირითადად გამოიყენება ქვეყანაში დემოგრაფიული სურათის გასაშუქებლად ნაშრომების, თემების, ანალიზის, პრეზენტაციების მოსამზადებლად და სხვა მიზნებისთვის.
12.2. მომხმარებელთა კმაყოფილება
2021 წელს ჩატარდა მომხმარებელთა კმაყოფილების გამოკვლევა, რომლის მიზანი იყო მომხმარებლების მიერ სტატისტიკური მონაცემების ხარისხის შეფასების ანალიზი და მომხმარებელთა მომსახურების გაუმჯობესების გზების შესწავლა. გამოკვლევის ანგარიში განთავსებულია საქსტატის ვებ-საიტზე: https://www.geostat.ge/ka/page/customer-service
12.3. სისრულე
ხელმისაწვდომია განქორწინებათა შესახებ შემდეგი მონაცემები: განქორწინებულთა სქესი, ასაკი, ქორწინების ხანგრძლივობა და რეგითობა, რეგისტრაციის თარიღი, მოქალაქეობა, დაბადების ადგილი. აღნიშნული მონაცემები ხელმისაწვდომია რეგიონის, თვითმმართველი ერთეულის და საქალაქო და სასოფლო დასახლებების დონეზე.
13. სიზუსტე და სანდოობა
13.1. ზოგადი სიზუსტე
-
13.2. შერჩევითი ცდომილება
-
13.3. არაშერჩევითი ცდომილება
-
14. დროულობა და პუნქტუალობა
14.1. დროულობა
ნახევარწლიური (წინასწარი) მონაცემები ქვეყნდება საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან 2.5 თვის შემდეგ, ხოლო წლიური (საბოლოო) მონაცემები – 3 თვის შემდეგ.
14.2. პუნქტუალობა
მონაცემთა გამოქვეყნება ხდება სტატისტიკურ სამუშაოთა სახელმწიფო პროგრამაში მითითებული დროის შესაბამისად. გამოქვეყნების თარიღების დარღვევის ფაქტს ადგილი არ ჰქონია.
15. თანამიმდევრულობა და შესადარისობა
15.1. შესადარისობა – გეოგრაფიული
მონაცემები გროვდება და მუშავდება ერთი და იგივე მეთოდოლოგიითა და განმარტებებით ქვეყნის სხვადასხვა რეგიონებისა და თვითმმართველი ერთეულებისთვის (თვითმმართველი ქალაქები და მუნიციპალიტეტები).
15.2. შესადარისობა – დროში
მონაცემები გროვდება და მუშავდება ერთი და იგივე მეთოდოლოგიითა და განმარტებებით მთელი განსახილველი პერიოდის განმავლობაში.
15.3. თანამიმდევრულობა – სტატისტიკურ მიმართულებებს შორის
-
15.4. თანამიმდევრულობა – შიდა
-
16. დანახარჯები და დატვირთვა
განქორწინებათა მონაცემების მოწოდება ხდება ადმინისტრაციული წყაროს მიერ და არ მოითხოვს დამატებით დანახარჯებს.
17. მონაცემთა გადასინჯვა
17.1. მონაცემთა გადასინჯვა–პოლიტიკა

სტატისტიკურ მონაცემთა გადასინჯვის პოლიტიკა ხელმისაწვდომია საქსტატის ვებ-საიტზე: https://www.geostat.ge/media/44385/Revision-policy-and-error-correction_Geo.pdf
17.2. მონაცემთა გადასინჯვა–პრაქტიკა
მონაცემთა გეგმიური გადასინჯვა არ ხდება. არაგეგმიური გადასინჯვა (მონაცემთა დაზუსტების მიზნით) პრაქტიკაში არ განხორციელებულა.

18. სტატისტიკური დამუშავება
18.1. პირველადი მონაცემები
სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან საქსტატი იღებს რეგისტრირებული განქორწინებების შესახებ ელექტრონულ ბაზას.
18.2. მონაცემთა შეგროვების სიხშირე
კვარტალურად.
18.3. მონაცემთა შეგროვება
წლის განმავლობაში რეგისტრირებული დემოგრაფიული შემთხვევების შეგროვება ხდება სრულად.
18.4. მონაცემთა კონტროლი
მონაცემების გამოქვეყნებამდე ხორციელდება მონაცემების გაწმენდა და ლოგიკური კონტროლი.
18.5. მონაცემთა გაანგარიშება
მონაცემთა გაწმენდის და დაზუსტების შემდეგ ხდება დემოგრაფიული სტატისტიკის წარმოება.
18.6. მოსწორება
-

19. კომენტარი
-